

**საბანკო საქმე
XIX საუკუნის საქართველოში
(საბანკო დაწესებულებები ქუთაისის გუბერნიაში)
BANKING IN 19TH-CENTURY GEORGIA
(BANKING INSTITUTIONS
IN KUTAISI GOVERNORATE)**

თეა გაგუა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Tea Gagua

Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

The article describes the period of Georgian history (the second half of the 19th century), when the long-suffering Georgian society, caught in the clutches of Russian imperialism was looking for ways of self-preservation and a solution. The nobility considered the Land Bank to be the only pillar for maintaining rank and property advantage. The financial affairs of the bank in Tbilisi and Kutaisi were accompanied by contradictions, difficulties, and ideological and class disagreements among like-minded people; this largely hindered the completion of beneficial financial affairs for the country.

The article clearly shows that the bank should not have been an organization of the privileged and a source of their enrichment, a defender of class interests, or a place of confrontation, but rather a profit-oriented general public institution based on democratic principles.

The article, on the one hand, presents various spheres of political and socio-economic life in Georgia and the connection with the banking sector and, on the other hand, the charity provided by the bank from specifically established funds to various educational institutions, students of higher education institutions, schools, theater, the Society for the Spreading of Literacy Among Georgians, and private individuals. The article informs the readers that the Land Bank of Tbilisi and Kutaisi honorably fulfilled its mission and left its imprint on the material well-being of the Georgian nation

საკვანძო სიტყვები: საბანკო საქმე საქართველოში, ქუთაისის გუბერნია, ილია ჭავჭავაძე, ბესარიონ ლოღობერიძე.

Keywords: Banking in Georgia, Kutaisi Governorate, Ilia Chavchavadze, Besarion Ghoghoberidze.

საბანკო-საფინანსო სისტემის შექმნისა და ჩამოყალიბების პერიოდი საქართველოში ძირითადად რუსული იმპერიალიზმის ეპოქას უკავშირდება და განსაკუთრებით აქტიურდება ბატონყმობის გაუქმების შემდგომ, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, აქამდე „საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობდა ფულად-საკრედიტო სისტემა ან საზოგადოებრივი დამხმარე კაპიტალი, რომელიც საზოგადო ან კერძო საჭიროებისამებრ თანხების მობილიზებას და მის ეფექტიან გამოყენებას შეუწყობდა ხელს. მემამულეებიც და გლეხებიც ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ“ (მიხანაშვილი 2014). აქედან გამომდინარე, საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული ბანკი ადამიანური ყოფის შემსუბუქებისა და თვითგადარჩენის ერთ-ერთი საშუალება იყო.

საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის. ის ამ იდეის განხორციელებას შეუდგა. ბატონყმობის გაუქმებას საქართველოში შემდეგი ცვლილებები მოყვა: მამრობითი სქესის თითოეული გათავისუფლებული გლეხის ფასად ბატონს 25 მანეთი ეძლეოდა. ვისაც 21 ყმაზე ნაკლები ჰყავდა, ეს გასამრჯელო უორმაგდებოდა. ამ გზით თავადაზნაურობას საკმაო თანხა უგროვდებოდა. ვინც გონივრულად მოიქცეოდა, ქონებრივი გასაჭირი არ ელოდა.

ამ პირობებში დიმიტრი ყიფიანს თავადაზნაურობის წოდებრივი და ქონებრივი უპირატესობის შენარჩუნების ერთადერთ ბურჯად საადგილმამულო ბანკი მიაჩნდა. ყმების გათავისუფლებისათვის ხელისუფლებამ ამიერსაქართველოს თავადაზნაურობას ორი მილიონი მანეთი მისცა. აქედან მილიონ რვას ორმოცი ათასი მანეთი – ყმებში, ხოლო ას სამოცი ათასი მანეთი – ბანკის დასაარსებლად. ბანკის საქმე რომ აწყობილიყო, საჭირო იყო სახელმწიფოს მოძიებულ თანხას ცოტა კიდევ დამატებოდა. კერძოდ, თავადაზნაურობას თითოეულ სულ გლეხზე მიღებული ოცდახუთი მანეთიდან ხუთი მანეთი უნდა შეეწირა. მაშინ ბანკს თავნად, ძირის ფულად თანხა უგროვდებოდა. მერე უკვე ხელმძღვანელობის ოსტატურ საქმიანობაზე იყო დამოკიდებული, რას მოიგებდა ან რას წააგებდა ბანკი (ბაქრაძე 2006: 36-37).

დიმიტრი ყიფიანის ოპტიმიზმი და ენთუზიაზმი უსაზღვრო იყო. მან საგანგებოდ შეისწავლა იმპერიის სხვა კერძო ბანკების წესდებათა საფუძვლები. თუ გავითვალისწინებთ იმ მოცემულობას, რომ 1862 წლიდან 1872 წლამდე პერიოდი რუსეთში საბანკო საქმიანობის განუწყვეტელი ისტორიული განვითარების დროდ ითვლება და ამ პერიოდში დაარსდა 33 სააქციო ბანკი, 11 სააქციო მიწის ბანკი, 1873 წლიდან ფუნქციონირებდა 222 საქალაქო საჯარო ბანკი, არსებული გამოცდილება ყიფიანს ნამდვილად აძლევდა ოპტიმიზმის საფუძველს.

საკითხის გადაწყვეტა მაინც გაჭიანურდა. ხელისუფლება მის მიერ შემუშავებული წესდების ცალკეულ დებულებებს არ იზიარებდა. ასე დამთავრდა ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი პირველი ქართული ბანკის დაარსების მცდელობისა.

შემდგომ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ქართველი სამოციანელები. მათი მიზანი იყო ქართული საადგილმამულო ბანკი ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩაეყენებინათ და ამ საქმისთვის ილია ჭავჭავაძეს ეხელმძღვანელა. ნ. ნიკოლაძე წერს: „...რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1878 წლებში, რამდენ ყმაწვილს რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვედებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვედო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის მოთავედ ჩაგვეყენებინა“ (ნიკოლაძე 1964: 68-69).

ილიას თავგაცობით ძირეულად შემუშავდა საადგილმამულო ბანკის ახალი წესდება, მაგრამ, თუ ეს საქმე შედარებით იოლი გასაკეთებელი აღმოჩნდა, ძალიან გართულდა და დიდი ძალისხმევა დასჭირდა პროექტის დამტკიცებას. 1872 წლის 5 დეკემბრიდან 1874 წლის 28 მაისამდე დრო მოსკოვსა და პეტერბურგში მისვლა-მოსვლას, იქ ტრიალს და ბიუროკრატიულ კიბეზე აღმა-დაღმა სიარულს დასჭირდა. ზოგჯერ სასოწარკვეთილი ილია საქმის მოტოვებას და შინ გამოქცევას ფიქრობდა. აკი ვერ გაუძლეს წვალებას დიმიტრი ყაზბეგმა და დავით ყიფიანმა. ისინი, როგორც ბანკის დირექტორები, რუსეთში ახლდნენ ილიას წესდების დასამტკიცებლად. „ყიფიანი და ყაზბეგი ხომ ჯერ, მკათათვეში ერთი, და მეორე აგვისტოში გაიქცნენ აქედამა და დამაგდეს მე მარტო“, – წერდა 1873 წლის 10 ოქტომბერს გულდაწყვეტილი ილია ცოლს.

ილიას იმჟამინდელ განწყობილებას ზუსტად გადმოგვცემს მისი ბარათები ოღლა გურამიშვილისადმი.

1873 წელი, 28 ივლისი. ილია ოღლას სწერს:

„თუმცა ეს მოსკოვი დიდი ქალაქია, მაგრამ მე თითქოს სრულიად მოწყენილი ვარ, პირველი იმიტომ, რომ მე ყველა დიდი ქალაქი საზოგადოდ და მოსკოვი განსაკუთრებით, ფრიად მეჯავრება, მეორე იმიტომ, რომ არაფერი აქაური სიამოვნება არ მიზიდავს“ (ბაქრაძე 2006: 60-61).

ასე უსაშველოდ გაჯანჯლდა საადგილმამულო ბანკის წესდების დამტკიცება, მაგრამ ილია არაფრით არ მოეშვა საქმეს. მაინც თავისი გაიტანა და ბოლოს, როგორც იქნა, 1874 წლის 28 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდება დამტკიცდა. სექტემბერში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებას ეცნობა წესდების დამტკიცება. გააცნეს ბანკის მმართველობისა და მუშაობის სისტემა. აირჩიეს ბანკის მმართველი და დირექტორები. ამ კრებამ მმართველად ილია აირჩია. კენჭისყრის შედეგად ილიას მომხრე იყო 138 კაცი, წინააღმდეგი – 12.

1875 წლის იანვარ-თებერვალში კი თბილისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კრება ჩატარდა. ბანკმა არსებობა დაიწყო.

ილიას მიზანი, გარდა გონივრული კრედიტით ქვეყანაში წარმოების გაძლიერებისა, განათლების მიმართულებისა თუ სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების საჭიროებების ფინანსური მხარდაჭერა და ეროვნული საქმის კეთება იყო, რასაც პირველი ქართული ბანკი წარმატებით ახერხებდა. ბანკთან ერთად შეიქმნა ფულადი ფონდი „საერთო სასარგებლო კაპიტალის სახელწოდებით“, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო ქართული სკოლების, საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფულადი დახმარება. ბანკის

პირველი წესდების (1874 წელი) მიხედვით, აღნიშნულ ფონდში გადაირიცხებოდა წმინდა მოგების 40%, ხოლო 1881 წლიდან – 35%. აღსანიშნავია, რომ ბანკმა ილიას 32-წლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში სულ 2 მილიონამდე მანეთი გასცა მსგავსი საზოგადოებრივი საჭიროებების მხარდასაჭერად (<https://www.marketer.ge/ilia-chavchavadze-biznes-istoria/>).

ბანკის ძირი თანხა ამოქმედებიდან 240 000 მანეთი იყო და ყოველწლიურად 360 000 მანეთზე მეტ მოგებას იძლეოდა. დროთა განმავლობაში ბანკის მოქმედების არეალში შევიდა ქუთაისის, ერევნის, ბაქოს, ელიზავეტოპოლის გუბერნიები, ასევე სოხუმის სამხედრო განყოფილებაც, 1891 წლიდან კი ბათუმიც. ბანკმა გირაოს ფურცლების გამოშვების სრული უფლება მიიღო და საგრძნობლად გაიზარდა საკრედიტო ოპერაციები. რაც მთავარია, ილიამ მიაღწია იმას, რომ ბანკის ფინანსური მომსახურება და მხარდაჭერა შეეხო ქართველ მრეწველებს, ვაჭრებს, გამდიდრებულ გლეხებს უმრავი ქონების დაგირავების საფუძველზე (იქვე).

1878 წელს ბანკის გამგეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაეხმარა 11 000 მანეთით, 1888 წელს კი ბანკი ქართულ თეატრს დაეხმარა 100 000 მანეთით. აღნიშნულმა ფულადმა დახმარებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საბანკო სექტორის წევრებს შორის (ილია ყოველთვის დამაჯერებლად პასუხობდა ოპონენტებს და გადაწყვეტილების მართებულობაში არწმუნებდა).

1881 წლიდან ილიას საბანკო პოლიტიკის წინააღმდეგ დავით ყიფიანი გამოდის, ბრალდება ეხებოდა კრედიტების გაიაფებას. მალე ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფს ივანე მაჩაბელიც შეუერთდა და თვლიდა, რომ ბანკს დაგირავებული მამულები არ უნდა გაეყიდა. პროტესტის ნიშნად მაჩაბელმა გამგეობა დატოვა. ილიამ და ივანემ ერთმანეთი პეტერბურგში გაიცინეს და თარგმნეს მეფე ლირი. ილიამ იგი თავის გაზეთში რედაქტორად მიიწვია, ბანკში მოღვაწე-დამფასებლად დააწყებინა მუშაობა, შემდეგ კი ბანკის ერთ-ერთ დირექტორად დანიშნა. მაჩაბელმა დაბეჭდა ბროშურა „თავადი ილია ჭვჭავაძე და მისი მოღვაწეობა“, სადაც წერდა, რომ ყველგან და ყოველთვის ილია ხელმძღვანელი და თავმჯდომარეა და რეალურად არსად არაფერს აკეთებსო, ოპოზიციის მიერ საჩივარი პეტერბურგის ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნა, საიდანაც მოავლინეს რევიზორი „დობეცკი“, რომელმაც დაკვირვებისა და ვითარების შესწავლის შემდეგ განაცხადა: ეს ბანკი საუკეთესო და მისაბამი არის მთელ იმპერიაშიო (იქვე).

ილიამ წინააღმდეგობის ფონზე მომხრეებთან ერთად გადაწყვიტა დაეტოვებინა ბანკის გამგეობა. მან და მისი გუნდის წევრებმა განცხადებები დაწერეს წასვლის თაობაზე, თუმცა საბანკო კრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ნათელი იყო, თუ როგორ სჭირდებოდა საბანკო საქმეს ილია, რაც ნათლად აისახა 1896 წელს 21 ივნისის კენჭისყრის შედეგებზე (ილიას განმეორებით არჩევას მხარი დაუჭირა 774-მა წევრმა, წინააღმდეგი იყო 8 წევრი).

ამ შემთხვევიდან კიდევ 9 წლის განმავლობაში, 1905 წლამდე, მართავდა ილია ჭვჭავაძე ბანკს, 1905 წელს იგი უკვე 68 წლის იყო და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. მან თავისივე

სურვილით დატოვა თანამდებობა. იგი ხშირად აღნიშნავდა: „ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შევწირე“.

საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თითქმის არ დარჩენილა სფერო, სადაც ქართულ საადგილმამულო ბანკს თავისი მიზანდასახული პოლიტიკა არ გაეტარებინა. ბანკი სპეციალურად შექმნილი საერთო სარგებლობის, სასოფლო-სამეურნეო და ექსტრაორდინარული ფონდებიდან აფინანსებდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, სასწავლო დაწესებულებებს, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, მოსწავლეებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებსა და გაზეთებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სტიქიით დაზარალებულებს, კერძო პირებს და ა.შ. 1875-1909 წლებში ბანკს საზოგადო საჭიროებისთვის გაუღია 1 944 136 მანეთი და 38 კაპიკი (მიხანაშვილი 2014).

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსების ისტორია 1866 წლიდან იწყება. გაზეთი „დროება“ მკითხველებს აუწყებდა, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას ბანკის დაფუძნება განუზრახავს და ამ მიზნით კომისია აურჩევია ბანკის წესდების შესადგენად (შეიქმნა 24-კაციანი კომისია). სამწუხაროდ, 6-წლიანი არსებობის მანძილზე კომისიამ ვერ შეძლო წესდების შექმნა. ბანკის დაფუძნება იმერეთისთვის ამ დროს მეტად სარგებლიანი საქმე იქნებოდა როგორც ფულის სესხების თვალსაზრისით, ასევე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის. 1867 წელს ხელისუფლება დათანხმდა ბანკის გახსნას ქუთაისში. დაარსების პროცესში სამეგრელოს თავადაზნაურობამ საკითხი დააყენა საკუთარი საკრედიტო დაწესებულების დაარსების შესახებ (დროება 1868). ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გაიშალა კიდეც, მაგრამ შემდეგ სამეგრელოს თავადაზნაურობამ სძლია თავის ვიწრო კუთხურ განკერძოების ტენდენციას და გადაწყვიტა თავისი ხვედრი საბანკო კაპიტალი დასავლეთ საქართველოს ერთიან საადგილმამულო ბანკში გაერთიანებინა.

1873 წელს ქუთაისის ბანკის პროექტი ნიკოლოზ ლოღობერიძემ შეადგინა რუსეთის სხვადასხვა ბანკის წესდების საფუძველზე. როგორც თავად აღნიშნავს, ის ამ საქმისთვის სპეციალურად გაემგზავრა პეტერ-ბურგს, რათა მცოდნე სპეციალისტებისგან სათანადო რჩევა მიეღო.

საადგილმამულო ბანკის გახსნამდე, მუშაობის პროცესში ნიკოლოზ ლოღობერიძესთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი. თუმცა როცა ბანკი უკვე გაიხსნა (1876 წელი), აღნიშნული საზოგადოება, მათ შორის ილია ჭავჭავაძეც, ლოღობერიძის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ბესარიონ ლოღობერიძე არ იყო ამ საქმისთვის შესაფერი კანდიდატი. მოგვიანებით ილია ლოღობერიძეს მიემხრო, ჩათვალა, რომ საქმის მცოდნე იყო და მისი პროფესია დაეხმარებოდა ბანკის მართვაში.

ამ დავიდარაბასა და შეუთანხმებლობაში ქუთაისის საადგილმამულო ბანკი 1976 წელს დაარსდა, თავმჯდომარედ პირველ წელს არჩეულ იქნა ბესარიონ ლოღობერიძე. წევრები: ნიკო ტარიელის ძე დადიანი, დავით გრიგოლის ძე ერისთავი. ერთი წლის შემდეგ ბესარიონ ლოღობერიძე მისმა შვილმა – ნიკოლოზ ლოღობერიძემ შეცვალა. იგი ბანკს 5 წლის განმავლობაში (1879-1884) მართავდა. მეტად განათლებული და ღირსეული პიროვნება

გახლდათ. 5 წლის შემდეგ თანამდებობა დატოვა და ხელი მიჰყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას. ბანკის თავმჯდომარეობა კი იტვირთა დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანმა.

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის შექმნის უმთავრესი საფუძვლები მდგომარეობდა იმაში, რომ ქვეყნის ეკონომიკური პირობები საჭიროებდა ისეთ ბანკს, რომელიც გირაოდ მიწას და უძრავ მამულს მიიღებდა. ამ ბანკს უნდა ჰქონოდა გირაოს ფურცლების გაცემის უფლება. გირაოს ფურცლები ეს იყო ვექსილი, რომელსაც აძლევდა ბანკი ფულის პატრონს, სესხის ამღები არის პასუხისმგებელი ბანკთან, ბანკი კი – ფურცლის პატრონთან. ქუთაისის გირაოს ფურცლები აძლევდნენ პატრონებს წელიწადში 6%-ს, ე.ი. მანეთზე 6 კაპიკს.

ბანკის უპირველესი საზრუნავი იყო გირაოს მაღალი კურსი, მის კარგ ფასზე იყო დამოკიდებული ბანკის ბედი. საზოგადოებამ ნიკოლოზ ლოღობერიძის მიერ შედგენილი ბანკის პროექტი კმაყოფილებით მიიღო. ამის შესახებ იტყობინებოდა ს. მესხი. ქუთაისიდან ბანკის პროექტი გაიგზავნა კავკასიის მთავარსამმართველოში, ხოლო ამ უკანასკნელიდან გაიგზავნა პეტერბურგში. მიუხედავად ამისა, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გარშემო დაუსრულებელი კამათი და დისკუსია იმართებოდა. შეიძლება ითქვას გადაუჭარბებლად, რომ საქართველოში არც ერთ სხვა საკითხზე იმდენი დავა არ ყოფილა, როგორც თბილისისა და ქუთაისის ბანკთან დაკავშირებით იმართებოდა. გაზეთები „დროება“ და „ივერია“ სისტემატურად აქვეყნებდნენ მასალებს საბანკო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ.

ბანკის მოქმედების დაწყების ჟამს ძირის თანხად დადებულ იქნა 437 306 მან. აქედან 426 507 მან. შეტანილი იყო თავად-აზნაურთაგან, ბანკის დამფუძნებელ წევრთაგან, ხოლო დანარჩენი 10 779 მან. იყო სარგებელი, შეკრებილი იმ ხანიდან, როცა თავად-აზნაურებმა გაიღეს ფული იმ დრომდე, სანამ ბანკი მოქმედებას დაიწყებდა.

პირველ წლებში ქუთაისის ბანკი საკმაო სიფრთხილით მოქმედებდა. ფაქტობრივად ბანკმა მოქმედება 1876 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო და 1877 წლის დამლევამდე გასცა 334 000 მანეთი, 1879 წელს ქუთაისის ბანკს გაუცია 292 000 მანეთი სესხი. 1880 წლიდან ბანკის მოქმედებაში მოხდა ცვლილება; იგი იწყებს ხელგაშლილად სესხის გაცემას, განსაკუთრებით ქალაქის მამულებში. მხოლოდ ქუთაისის მამულებში სამი წლის განმავლობაში ბანკს გაუცია 2 787 000 მანეთი.

ქალაქის მამულებში აგრე უხვად გაცემულ სესხს ეჭვში შეუყვანია სამინისტრო. საქმე ეხებოდა მცირე ქალაქებს. ასეთ შემთხვევაში ქალაქის მამულებს მცირე შემოსავალი ჰქონდათ და რატომ იყო დაინტერესებული ბანკი მცირე მოგების შემომტანი სესხის გაცემით. ამის გამო ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა, ქუთაისის საადგილმამულო ბანკს შეეჩერებინა სესხის გაცემა 1882 წელს. გ. მაიაშვილი ადარებს რა ერთმანეთს თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების საქმიანობას, აღნიშნავს, რომ 1880 წელს თბილისის ბანკმა ორჯერ მეტი სესხი გასცა, ვიდრე ქუთაისისამ: ასე, მაგალითად, ამ წელს თბილისის ბანკს გაცემული ჰქონდა 684 000

მანეთი, ქუთაისისას – 374 000 მანეთი. ერთი წლის შემდეგ ქუთაისის ბანკი მილიონამდე ადის და უკან იტოვებს თბილისის ბანკს. ის გასცემს ქალაქის ადგილებზე 1 222 000 მანეთს, თბილისის ბანკი გასცემს 2 207 000 მანეთს. ქუთაისის ბანკი – 2 260 000 მანეთს. 1883 წელს თბილისის ბანკის მიერ გაცემული სესხი 2 449 000 მანეთს შეადგენდა, ქუთაისის ბანკის – 2 702 000 მანეთს. მაგრამ ამ წელს იწყება ქუთაისის ბანკის ოპერაციების შესუსტება, ხოლო თბილისის ბანკის ოპერაციები სულ უფრო და უფრო იზრდება. როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს განკარგულებას სესხის გაცემის აკრძალვის შესახებ საგრძნობლად შეურყევია ქუთაისის ბანკის საქმიანობა და იგი იწყებს დაქვეითებას. ბანკის გამგეობის თავჯდომარის – ნიკოლოზ ლოღობერიძის მცდელობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ ნ. ლოღობერიძემ ადვილად დაუთმო ბანკის თავმჯდომარეობა დიმიტრი დადიანს და თვითონ ჭიათურის მარგანეცის საქმეს მოკიდა ხელი. დიმიტრი დადიანი, ცხადია, შეეცადა ბანკის მდგომარეობა გამოესწორებინა, მაგრამ საბანკო საქმის გარშემო შექმნილმა დაჯგუფებებმა ხელი შეუშალა მას წარმატების მიღწევაში, თუმცა 1886 წელს მაინც მიაღწია იმას, რომ ფინანსთა მინისტრმა გასცა განკარგულება ბანკისთვის სესხის გაცემის ნებართვის შესახებ.

ქუთაისის ბანკის წარუმატებლობას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ ბანკის მმართველ გამგეობას თავიდანვე ოპოზიციაში ედგა თავად-აზნაურთა ძლიერი დაჯგუფება, ხელს უშლიდა მის საქმიანობას. თავად-აზნაურთა დაჯგუფებამ, გამუდმებულმა საჩივრებმა ბანკი უნდობლობის გარემოში მოაქცია, მისი კეთილდღეობა მამულების შემფასებელი კომიტეტის კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული. სწორედ ამ კუთხით ჰქონდა ქუთაისის ბანკს ყველაზე დიდი ნაკლი. შემფასებელი კომისიის უმრავლესობა არ იჩენდა საჭირო ობიექტურობას და კეთილსინდისიერებას. ძირითადი ბრალდება ის იყო, რომ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ნაკლებად სანდო პირებს ირჩევდნენ მამულების შემფასებლად. ბანკის გართულებული მდგომარეობით ისარგებლა ოპოზიციამ და გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია განათლებით იურისტი, ქუთაისში განთქმული ვექილი კ. ჩიკვაძე, რომელიც მანამდე თავისი მომხრეებით ოპოზიციაში ედგა ბანკის ხელმძღვანელობას. მისი თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ მდგომარეობა იცვლება: ბანკის წინანდელი მესვეურები იკავებენ ოპოზიციის ადგილს. მაგრამ ამან მაინც ვერ უშველა ქუთაისის ბანკს. უფრო მეტიც, კ. ჩიკვაძის ხელმძღვანელობის პერიოდში (1889-1902) ქუთაისის ბანკი დაღმავლობის გზას დაადგა.

1894-95 წლებში თბილისის ბანკმა გამოსტაცა ქუთაისის ბანკს 840 400 მან. სესხი. ამის მიზეზი იყო ის, რომ ქუთაისის ბანკში ქალაქის მამულებზე მსესხებელი 100 000 ვალზე ყოველწლიურად იხდიდა 3 მანეთს. თბილისის ბანკი ერთ მანეთს ახდევინებდა. ეს იყო შეღავათი და ამიტომ გადადიოდნენ თბილისის ბანკში. გარდა ამისა, ქუთაისის ბანკში იყო გამწვავებული სადავო ბრძოლა და ამიტომ ფრთხილი მსესხებელნი ამჯობინებდნენ გაცლოდნენ ამ გაუთავებელ დავას.

თბილისის ბანკმა 1881 წელს მოიპოვა უფლება, თავისი ოპერაციები გაეფართოებინა და მოქმედება გაეგრძელებინა თბილისის გუბერნიის გარდა ერევნის, ბაქოს, განჯისა და ქუთაისის გუბერნიებშიც, აგრეთვე სოხუმის სამხედრო განყოფილებაში, ხოლო 1893 წელს — ქ. ქუთაისშიც. ამასთან ერთად, თბილისის ბანკს გირავნობის ფურცლების განუსაზღვრელი რაოდენობით გამოცემის ნება მიეცა, რადგან წესდებაში ჩართული იყო მუხლი ურთიერთობისა ყოველთა მსესხებელთა საურთიერთო თავდებობისა.

ქუთაისის ბანკი იმ წრეზე იდგა 1896 წელს, რა წრეზეც იდგა 1880 წელს. არავითარი დიდი შემატება მას არ ჰქონია, გარდა იმისა, რაც მან მოიპოვა 1880 წელს (ემოქმედა თბილისის გუბერნიაში), ხოლო 1895 წელს მოიპოვა ბათუმში მოქმედების უფლება.

ბანკის ასეთი მდგომარეობით ისარგებლეს გამგეობის ოპოზიციაში მყოფმა პირებმა და მთავრობას მიმართეს დახმარებისათვის. მთავარმმართველის შუამდგომლობით მთავრობამ კ. ჩიკვაძე 1902 წელს გადააყენა თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნეს სამინისტროს წარმომადგენელი — მელნიკოვი. ეს უკანასკნელი მალე შეცვალეს ერემეევით.

ერემეევის თავმჯდომარეობის დროს (1905-1911) ქუთაისის ბანკის საქმიანობა გამოკეთდა, ნდობა მოიპოვა, გირაოს ფურცლები კვლავ გამოიტანეს ბირჟაზე და, მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და რეაქციის პერიოდისა, ბანკის ქაღალდების ფასი თანდათან იმატებდა. საბანკო ბალანსის გაუმჯობესების შედეგად საზოგადოების შუამავლობის საფუძველზე ბანკს მოეხსნა მთავრობის მეურვეობა. 1910 წელს ერემევი მ. ფაღავამ შეცვალა და ქუთაისის ბანკმა ავად თუ კარგად შეძლო ემოქმედა 1917 წლამდე. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია აღნიშნული ბანკის 8803 შესანახი ერთეული, რომლებიც სრულად ასახავენ აღნიშნული დაწესებულების საქმიანობას. ბანკი წლების განმავლობაში აფინანსებდა სათავადაზნაურო გიმნაზიას, რამდენიმე სკოლას, ქართულ თეატრს, ქართული წიგნის გამოცემას. დაცულია ცნობები ბანკში დაგირავებულ ქონებასა და დამგირავებლებზე. დიდია მისი როლი ქალაქის განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის საქმეში.

საადგილმამულო ბანკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში როგორც სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების, ასევე ეროვნული და კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ჭავჭავაძე 1957: ჭავჭავაძე ი., წერილები უცხოეთზე. ავტობიოგრაფია, თბილისი, 1957.

ბაქრაძე 2006: ბაქრაძე ა., ილია ჭავჭავაძე, ილუსტრირებული ბიოგრაფიები, თბილისი, 2006. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/399772/1/Ilia_Chavchavadze_Wiwamuri_1984.pdf დამოწმება: 15.08.2022.

ილია ჭავჭავაძის ბიზნეს აზროვნება - პირველი ქართველი ბანკირი და უკანასკნელი ბანკი კერძო ინტერესების გარეშე <https://www.marketer.ge/ilia-chavchavadze-biznes-istoria/> დამოწმება: 15.08.2022.

ინგოროყვა 1957: ინგოროყვა პ., ილია ჭავჭავაძე, ნარკვევი. თბილისი, 1957.

კრებული 1993: ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კრებული, VI. ქუთაისი, 1993. <http://zholo.ge/kutaisis-saadgilmmamulo-banki/> დამოწმება: 30/12/2022.

მიხანაშვილი 2014: ევროპული არჩევანის ეროვნული საფუძვლები - საქართველოს საბანკო სისტემის სათავეებთან (ბლოგი). <https://for.ge/view/32428/evropuli-arCevanis-erovnuli-safuZvlebi---saqarTvelos-sabanko-sistemis-saTaveebTan.html> 03/06/2014. დამოწმება: 15.08.2022.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკი <https://for.ge/view/32428/evropuli-arCevanis-erovnuli-safuZvlebi---saqarTvelos-sabanko-sistemis-saTaveebTan.html> დამოწმება: 15.09.2022.

Федулова 2009: Экономическая история России. под ред. Ю. К. Федулова. Москва, 2009.

<https://tabula.ge/ge/tablog/92135-bankiri-ilia-chavchavadze> დამოწმება: 30/12/2022.